პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 24 აპრილი 1940 წ., № 95 (5796), ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბოლშევიზმის მებრძოლი ყრილობა (მოწინავე).

ტყავის ნედლეულის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.).

საბავშვო კულტურების თესვა (მე-2 გვერდი).

უცხოეთში:

გერმანიის ცნობა ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ (1-ლი გვ.).

გერმანიის ავიაციის ოპერაციები ნორვეგიაში (1-ლი გვ.).

ინგლისის ცნობები ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ (1-ლი გვ.).

[illegible] (მე-2 გვ.).

F 75 N 165

## ბოლშევიზმის მებრძოლი ყრილობა

[illegible]

...ყობის, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის, გლეხთა მოძრაობასთან დამოკიდებულების შესახებ და სხვ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში", რომელშიაც კლასიკურად არის განსაზღვრული პარტიის III ყრილობის ტაქტიკური ხაზი ვკითხულობთ:

„რევოლუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ მას სათავეში ჩაუდგება პროლეტარიატი, თუ პროლეტარიატი, როგორც რევოლუციის ბელადი, შესძლებს უზრუნველჰყოს ... როგორც მუშათა კლასის ჰეგემონი, იდეურად და ორგანიზაციულად განმტკიცებული ზუსტად განსაზღვრული ტაქტიკური პროგრამით.

III ყრილობა წარმოადგენდა მენშევიკურ დაბნეულობასთან და დაქსაქსულობასთან ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიულობის ბრწყინვალე გამარჯვებას, ლენინ-სტალინის ხაზის გამარჯვებას, და, ბოლოს, ეს იყო უდიდესი გამარჯვება იმ თვალსაზრისითაც, რომ III ყრილობა იყო წმინდა ბოლშევიკური ყრილობა.

## უკანასკნელი ცნობები

### გერმანიის ცნობა ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

**ბერლინი,** 23 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო შემდეგ ცნობას გადმოგვცემს საომარი მოქმედების შესახებ:

„ნორვეგიაში მოქმედი გერმანიის არმიის, ფლოტისა და ავიაციის შენაერთების თანამოქმედება საშუალებას აძლევს გერმანელებს გააფართოონ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია. გერმანიის შეიარაღებული ძალები სძლევენ თავიანთ გზაზე მტრის ყოველგვარ წინააღმდეგობას, რომელიც ხელს უშლის მათს წინსვლას. ნარვიკში მდგომარეობა ძირითადად არ შეცვლილა. გერმანიის ჯარს, რომელიც იქ იმყოფება, ახალი მაშველი ძალები მიუვიდა. ნარვიკის რაიონში ინგლისელებმა ერთგვარი აქტივობა განავითარეს იმ მიზნით, რომ ინგლისისა და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მთავარი ყურადღება მიეპყროთ სკანდინავიის ფრონტის ვითომდა ამ უმნიშვნელოვანესი უბნისათვის. გუშინ ინგლისის კრეისერები და საესკადრო ნაღმოსნები კვლავ უწესრიგოდ ესროდნენ ნარვიკს. გერმანიის ჯარი, რომელიც ნარვიკსა და მის მომიჯნავე ადგილებში მოქმედებს, ჯერჯერობით პირისპირ არ შეხვედრია მტერს, ვინაიდან გადასული მტრის ჯარი დიდ მანძილზეა ნარვიკიდან. ტრონჰეიმიდან დაწყებული, გერმანიის ჯარმა მთელი რიგი იერიშები მოაწყო იმ მიზნით, რომ გაემაგრებინა თავისი საკუთარი პოზიციები და დაეზვერა მტრის პოზიციების განლაგება. ნორვეგიის ჩრდილოეთით მდებარე პუნქტის დაკავების დროს გაიმართა ორსაათიანი ბრძოლა, რომლის დროსაც მტერი უკუქცეულ იქნა. ბერგენის რაიონში ისევე, როგორც ტრონჰეიმში, გერმანიის ახალი შეიარაღებული ძალები ჩავიდნენ. გერმანიის ჯარი წარმატებით მიიწევს წინ ოსლოს ჩრდილოეთით და სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას. ონდალსნესის რაიონში ინგლისელების საეჭვო მოქმედებაა.

გერმანიის ავიაციამ წარმატებით მიიტანა იერიში მტრის საესკადრო ნაღმოსნებსა და ტრანსპორტებზე, რომლებიც იქ იმყოფება. წარსულ ღამეს ინგლისის ყუმბარმშენებმა კვლავ სცადეს თავს დასხმოდნენ ოლბორგს (დანია). ინგლისელთა პირველი ცდა მოგერიებულ იქნა. გერმანიის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ინგლისის სამი თვითმფრინავი, და 22 აპრილს ღამით გერმანიის საზენიტო არტილერიამ ინგლისის კიდევ ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო".

### გერმანიის ავიაციის ოპერაციები ნორვეგიაში

**ბერლინი,** 23 აპრილი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის ავიაცია კვლავ იღებდა მონაწილეობას ნორვეგიაში წარმოებულ გაფთრებულ ბრძოლებში. უზრუნველჰყოფდა რა გერმანიის ჯარის წინსვლას ელვერუმ-მიესენ-ლილეჰამერის რაიონში. აქ გერმანიის ავიაციამ მრავალი საზვერავი ფრენა მოაწყო და იერიში მიიტანა ნორვეგიის სამხედრო ნაწილებზე, ყუმბარები დააყარა და ტყვიამფრქვევი დაუშინა მათ. გერმანიის თვითმფრინავების ბომბარდირების ობიექტს წარმოადგენდნენ ონდოლსნესისა და ნამსოსის მიდამოები, რომლებიც ინგლისელებს უკავიათ, და ის რაიონები, სადაც ინგლისის ჯარის გადასხმა ხდებოდა. ბომბარდირებისა და ტყვიამფრქვევის სროლის შედეგად გაფანტულ იქნა რამდენსამე პუნქტში თავმოყრილი ინგლისის ჯარი და სალაშქრო კოლონები. დომბოსის სარკინიგზო კვანძი განადგურებულია, ხოლო ონდოლსნესის და ნამსოსის სანავსადგურო ნაგებობანი ძლიერ დაზიანდნენ. გერმანიის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს ინგლისის სატრანსპორტო გემებზე, რომელნიც ნორვეგიის ნავსადგურებში შედიოდნენ. დაზიანებულია ინგლისის სამი ტრანსპორტი. ორი მათგანი იმ წამსვე ჩაიძირა, მესამეს ცეცხლი გაუჩნდა. ორი სამხედრო გემი ძლიერ დაზიანდა.

### ინგლისის ცნობები ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

**ლონდონი,** 22 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი" იუწყება, რომ, დაუდასტურებელი ცნობების მიხედვით, ვერდალსრორში, ტრონჰეიმის ჩრდილოეთით, ბრძოლაა ინგლისისა და გერმანიის ჯარებს შორის. ვერდალსრორის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პუნქტი მდებარეობს იმ გზების ჯვარედინზე, რომლებიც ტრონჰეიმს აკავშირებენ გრონგთან და შვეციის საზღვართან. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ პირველი შეტაკება ინგლისისა და გერმანიის ჯარებს შორის მოხდა გუშინ დილაადრიან. დაუყოვნებლივ გაიმართა გაცხარებული სროლა ორივე მხრივ. ბრძოლის შედეგი ჯერ გამორკვეული არ არის. შვედური გაზეთის კორესპონდენტები უარჰყოფენ ცნობებს გრონგსა და ნამსოსს შუა ბრძოლის შესახებ. კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ნამსოსი, სადაც ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები გადავიდნენ, ნანგრევებად იქცა გერმანიის ავიაციის მიერ წარმოებული ბომბარდირების გამო. რკინიგზას ნამსოსსა და გრონგს შორის განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარებს გერმანიის თვითმფრინავები. მაგრამ გზა უმნიშვნელოდ არის დაზიანებული.

# ტყავის ნედლეულის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

იმ მიზნით, რათა შეიქმნას კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა უფრო მეტი დაინტერესება მეცხოველეობის შემდგომი განვითარებით, ტყავის ნედლეულის ბაზის განმტკიცებით და ფეხსაცმლის, აგრეთვე სხვა სახის ტყავეულისა და სასარაჯო ნაწარმის გამოშვების გადიდებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. შემოღებულ იქნას, 1940 წლიდან დაწყებული, ტყავის ნედლეულის დამზადების მოქმედი წესის ნაცვლად, კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულოდ ჩაბარება კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობიდან (სახნავი მიწები, მათ შორის ბაღები და ბოსტნები; მდელოები და საძოვრები), ხოლო კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ—თვითეული კომლიდან.

2. კოლმეურნეობების მიერ ტყავის ნედლეულის ჩაბარება გამოანგარიშებულ იქნას:

ა) 2 წლისაზე მეტი ასაკის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავებით, წონით 17 კილოგრამზე მეტი (ახლადგახდილი სახით) — დიდი ტყავები;

ბ) 1-დან 2 წლის ასაკამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავებით, წონით 10-დან 17 კილოგრამამდე (ახლადგახდილი სახით) — საშუალო ტყავები;

გ) ღორის ტყავებით, წონით 4 კილოგრამზე მეტი (ახლადგახდილი სახით);

დ) ყველა ჯიშის ცხვრისა ან თხის ტყავებით, ზომით არანაკლებ 35 კვადრატული დეციმეტრისა.

3. დაწესდეს რესპუბლიკებისა, მხარეებისა და ოლქებისათვის კოლმეურნეობებზე მიმაგრებული ყოველი 100 ჰექტარი მიწის ფართობიდან (სახნავები, მათ შორის ბაღები და ბოსტნები; მდელოები და საძოვრები (1940, 1941 და 1942 წლებში კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი საშუალო წლიური ნორმები:

### ა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავები (ცალობით)

| რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები | 1940 წ. დიდი | 1940 წ. საშუალო | 1941 წ. დიდი | 1941 წ. საშუალო | 1942 წ. დიდი | 1942 წ. საშუალო |
|---|---|---|---|---|---|---|
| I რუსეთის სფსრ | | | | | | |
| ალტაის მხარე | 0,7 | 0,3 | 1,0 | 0,5 | 1,2 | 0,5 |
| არხანგელსკის ოლქი | 1,2 | 2,0 | 1,4 | 2,5 | 1,7 | 3,0 |
| ბაშკირეთის ასსრ | 0,7 | 0,3 | 1,0 | 0,5 | 1,2 | 0,5 |
| ბურიატ-მონღოლეთის ასსრ | 1,5 | 0,3 | 2,0 | 0,3 | 2,2 | 0,3 |
| ვოლოგდის ოლქი | 1,0 | 1,5 | 1,4 | 2,0 | 1,5 | 2,0 |
| ვორონეჟის ოლქი | 0,6 | 0,3 | 1,0 | 0,4 | 1,0 | 0,5 |
| გორკის ოლქი | 0,7 | 0,4 | 1,0 | 0,5 | 1,5 | 0,6 |
| დაღისტნის ასსრ | 0,6 | 0,4 | 0,7 | 0,5 | 0,8 | 0,5 |
| ივანოვოს ოლქი | 0,8 | 0,6 | 1,0 | 0,9 | 1,5 | 1,0 |
| ირკუტსკის ოლქი | 1,2 | 0,5 | 1,5 | 1,0 | 1,5 | 1,0 |
| ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ | 1,2 | 0,5 | 1,8 | 0,5 | 2,4 | 1,0 |
| კალინინის ოლქი | 1,0 | 0,8 | 1,2 | 1,4 | 1,5 | 2,0 |
| ყალმუხეთის ასსრ | 0,2 | 0,1 | 0,2 | 0,1 | 0,3 | 0,1 |
| კიროვის ოლქი | 1,0 | 0,3 | 1,0 | 0,8 | 1,4 | 1,0 |
| კომის ასსრ | 1,5 | 1,2 | 2,5 | 2,0 | 4,0 | 3,0 |
| კრასნოდარის მხარე | 1,5 | 0,5 | 1,5 | 0,5 | 1,5 | 0,5 |
| კრასნოიარსკის მხარე | 0,9 | 0,6 | 1,0 | 0,7 | 1,2 | 0,8 |
| ყირიმის ასსრ | 0,7 | 0,3 | 1,0 | 0,5 | 1,2 | 0,5 |
| კუიბიშევის ოლქი | 0,6 | 0,3 | 0,7 | 0,4 | 0,8 | 0,5 |
| კურსკის ოლქი | 1,0 | 0,2 | 1,1 | 0,3 | 1,2 | 0,3 |
| ლენინგრადის ოლქი | 1,2 | 1,4 | 1,5 | 1,5 | 1,8 | 1,6 |
| მარეთის ასსრ | 0,7 | 0,5 | 1,1 | 0,8 | 1,3 | 1,0 |
| მორდვეთის ასსრ | 0,6 | 0,1 | 0,8 | 0,3 | 1,0 | 0,5 |
| მურმანსკის ოლქი | 0,2 | 0,1 | 0,2 | 0,1 | 0,3 | 0,1 |
| მოსკოვის ოლქი | 1,0 | 1,2 | 1,3 | 1,3 | 1,7 | 1,8 |
| ვოლგისპირა გერმანელთა ასსრ | 0,4 | 0,3 | 0,4 | 0,3 | 0,7 | 0,4 |
| ნოვოსიბირსკის ოლქი | 0,9 | 0,7 | 1,1 | 1,0 | 1,3 | 1,2 |
| ომსკის ოლქი | 1,0 | 0,8 | 1,2 | 1,0 | 1,3 | 1,1 |
| ორჯონიკიძის მხარე | 0,8 | 0,4 | 0,8 | 0,4 | 1,0 | 0,4 |
| ორიოლის ოლქი | 1,0 | 0,5 | 1,2 | 0,6 | 1,5 | 0,8 |
| პენზის ოლქი | 0,4 | 0,3 | 0,4 | 0,3 | 0,7 | 0,3 |
| მოლოტოვის ოლქი | 1,0 | 1,0 | 1,1 | 1,1 | 1,4 | 1,2 |
| პრიმორიეს მხარე | 0,4 | 0,2 | 0,6 | 0,4 | 0,8 | 0,6 |
| როსტოვის ოლქი | 1,0 | 0,4 | 1,1 | 0,4 | 1,2 | 0,4 |
| რიაზანის ოლქი | 0,7 | 0,3 | 0,9 | 0,5 | 1,2 | 0,7 |
| სარატოვის ოლქი | 0,4 | 0,2 | 0,5 | 0,2 | 0,6 | 0,3 |
| სვერდლოვსკის ოლქი | 1,0 | 1,2 | 1,1 | 1,3 | 1,4 | 1,4 |
| ჩრდილო-ოსეთის ასსრ | 1,0 | 0,2 | 1,2 | 0,4 | 1,4 | 0,6 |
| სმოლენსკის ოლქი | 1,0 | 1,0 | 1,5 | 1,5 | 1,5 | 1,5 |
| სტალინგრადის ოლქი | 0,4 | 0,2 | 0,5 | 0,2 | 0,8 | 0,2 |
| ტამბოვის ოლქი | 0,5 | 0,3 | 0,7 | 0,3 | 0,8 | 0,4 |
| თათრეთის ასსრ | 0,7 | 0,2 | 0,9 | 0,3 | 1,0 | 0,5 |
| ტულის ოლქი | 0,9 | 0,5 | 1,1 | 0,7 | 1,3 | 1,0 |
| უდმურტეთის ასსრ | 0,7 | 0,5 | 0,9 | 0,6 | 1,2 | 0,7 |
| ხაბაროვსკის მხარე | 0,4 | 0,2 | 0,6 | 0,4 | 0,8 | 0,6 |
| ჩელიაბინსკის ოლქი | 0,5 | 0,6 | 0,8 | 0,7 | 1,0 | 0,8 |
| ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ | 0,6 | 0,3 | 0,7 | 0,4 | 0,7 | 0,5 |
| ჩიტის ოლქი | 0,6 | 0,5 | 0,8 | 0,5 | 0,9 | 0,7 |
| ჩკალოვის ოლქი | 0,5 | 0,2 | 0,6 | 0,3 | 0,7 | 0,3 |
| ჩუვაშეთის ასსრ | 1,2 | 0,4 | 1,3 | 0,6 | 1,4 | 0,8 |
| იაკუტიის ასსრ | 0,2 | 0,1 | 0,2 | 0,1 | 0,2 | 0,1 |
| იაროსლავლის ოლქი | 0,8 | 0,8 | 1,0 | 1,0 | 1,4 | 1,4 |
| II. უკრაინის სსრ | 1,0 | 0,5 | 1,5 | 0,5 | 2,0 | 1,0 |
| III. ბელორუსიის სსრ | 1,2 | 1,5 | 1,5 | 1,5 | 2,0 | 2,0 |
| IV. აზერბაიჯანის სსრ | 1,0 | 0,3 | 1,1 | 0,4 | 1,2 | 0,5 |
| V. საქართველოს სსრ | 2,0 | 0,4 | 2,2 | 0,6 | 2,4 | 0,8 |
| VI. სომხეთის სსრ | 1,2 | 0,3 | 1,3 | 0,5 | 1,5 | 0,7 |
| VII. თურქმენეთის სსრ | 0,5 | 0,1 | 0,5 | 0,1 | 0,6 | 0,2 |
| VIII. უზბეკეთის სსრ | 0,8 | 0,1 | 1,0 | 0,2 | 1,1 | 0,3 |
| IX. ტაჯიკეთის სსრ | 0,7 | 0,2 | 0,9 | 0,3 | 1,0 | 0,5 |
| X. ყაზახეთის სსრ | 0,2 | 0,1 | 0,2 | 0,1 | 0,2 | 0,1 |
| XI. ყირგიზეთის სსრ | 0,7 | 0,1 | 1,1 | 0,2 | 1,5 | 0,3 |
| XII. კარელია-ფინეთის სსრ | 1,0 | 1,0 | 1,5 | 1,5 | 1,8 | 1,8 |

### ბ. ღორის, ცხვრისა და თხის ტყავები (ცალობით)

| რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები | ცხვრისა და თხის ტყავი 1940 წ. | ცხვრისა და თხის ტყავი 1941 წ. | ცხვრისა და თხის ტყავი 1942 წ. | ღორის ტყავი 1940 წ. | ღორის ტყავი 1941 წ. | ღორის ტყავი 1942 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| I რუსეთის სფსრ | | | | | | |
| ალტაის მხარე | 4,0 | 5,0 | 7,0 | 1,5 | 2,5 | 4,0 |
| არხანგელსკის ოლქი | 1,0 | 1,0 | 2,0 | 1,5 | 2,5 | 3,0 |
| ბაშკირეთის ასსრ | 2,5 | 5,0 | 6,0 | 1,5 | 2,5 | 3,0 |
| ბურიატ-მონღოლეთის ასსრ | 3,0 | 6,0 | 6,0 | 0.5 | 1,0 | 1,0 |
| ვოლოგდის ოლქი | 0,6 | 2,0 | 2,0 | 1,5 | 2,5 | 3,0 |
| ვორონეჟის ოლქი | 3,0 | 5,0 | 6,0 | 2,5 | 5,0 | 7,0 |
| გორკის ოლქი | 1,2 | 1,5 | 2,5 | 2,0 | 4,0 | 5,0 |
| დაღისტნის ასსრ | 12,0 | 18,0 | 20,0 | — | — | — |
| ივანოვოს ოლქი | 1,5 | 1,5 | 2,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| ირკუტსკის ოლქი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,0 | 2,5 | 3,5 |
| ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ | 8,0 | 12,0 | 14,0 | 1,0 | 1,5 | 2,0 |
| კალინინის ოლქი | 3,0 | 4,0 | 5,0 | 1,5 | 2,0 | 3,0 |
| ყალმუხეთის ასსრ | 3,0 | 4,0 | 6,0 | — | — | — |
| კიროვის ოლქი | 0,6 | 1,0 | 1,5 | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| კომის ასსრ | 1,0 | 2,0 | 3,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| კრასნოდარის მხარე | 5,0 | 6,0 | 7,0 | 6,0 | 7,0 | 8,0 |
| კრასნოიარსკის მხარე | 3,0 | 6,0 | 9,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| ყირიმის ასსრ | 14,0 | 14,0 | 18,0 | 2,0 | 2,5 | 3,0 |
| კუიბიშევის ოლქი | 1,5 | 3,0 | 4,0 | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| კურსკის ოლქი | 2,0 | 4,0 | 6,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 |
| ლენინგრადის ოლქი | 1,5 | 2,0 | 3,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| მარეთის ასსრ | 1,0 | 2,0 | 3,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| მორდვეთის ასსრ | 2,0 | 2,5 | 3,0 | 2,0 | 5,0 | 6,0 |
| მოსკოვის ოლქი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 2,0 | 3,0 | 4.0 |
| მურმანსკის ოლქი | 0.4 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0,5 | 0,5 |
| ვოლგისპირა გერმანელთა ასსრ | 2,0 | 3,0 | 4,0 | 1,5 | 3,0 | 4,0 |

| რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები | ცხვრისა და თხის ტყავი 1940 წ. | ცხვრისა და თხის ტყავი 1941 წ. | ცხვრისა და თხის ტყავი 1942 წ. | ღორის ტყავი 1940 წ. | ღორის ტყავი 1941 წ. | ღორის ტყავი 1942 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოვოსიბირსკის ოლქი | 3,0 | 4,0 | 5,0 | 1,5 | 2,5 | 4,0 |
| ომსკის ოლქი | 2,5 | 5,0 | 6,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| ორჯონიკიძის მხარე | 8,0 | 8,0 | 12,0 | 1,5 | 2,0 | 3,0 |
| ორიოლის ოლქი | 2,0 | 3,0 | 4,0 | 2,0 | 3,0 | 4.0 |
| პენზის ოლქი | 1.5 | 2,0 | 3,0 | 1,0 | 1,5 | 2,0 |
| მოლოტოვის ოლქი | 1,0 | 2,0 | 2,5 | 2,0 | 5,0 | 5,0 |
| პრიმორიეს მხარე | 0,4 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| როსტოვის ოლქი | 5,0 | 6,0 | 8,0 | 2,5 | 5,0 | 7,0 |
| რიაზანის ოლქი | 1,8 | 2,0 | 2,5 | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| სარატოვის ოლქი | 2,5 | 3,5 | 5,0 | 1,5 | 2,0 | 3,0 |
| სვერდლოვსკის ოლქი | 2,0 | 2,5 | 3,5 | 3,0 | 4,0 | 5,0 |
| ჩრდილო-ოსეთის ასსრ | 14,0 | 15,0 | 18,0 | 0,5 | 0,5 | 1,0 |
| სმოლენსკის ოლქი | 2,0 | 4,0 | 5,0 | 1,0 | 3,0 | 5,0 |
| სტალინგრადის ოლქი | 3,5 | 5,0 | 6,0 | 0,5 | 1,0 | 2,0 |
| ტამბოვის ოლქი | 1,5 | 4,0 | 6,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| თათრეთის ასსრ | 2,0 | 3,0 | 4,0 | 1,0 | 2,0 | 3,0 |
| ტულის ოლქი | 2,0 | 2,0 | 3,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| უდმურტეთის ასსრ | 1,0 | 1,2 | 1,5 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| ხაბაროვსკის მხარე | 0,4 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| ჩელიაბინსკის ოლქი | 4,0 | 5,0 | 6,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ | 2,5 | 4,0 | 5,0 | — | — | — |
| ჩიტის ოლქი | 4,0 | 5,0 | 6,0 | 0,5 | 0,5 | 1,0 |
| ჩკალოვის ოლქი | 2,5 | 3,0 | 3,5 | 0,5 | 1,5 | 2,0 |
| ჩუვაშეთის ასსრ | 1,5 | 2,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 | 5,0 |
| იაკუტიის ასსრ | 0,4 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| იაროსლავლის ოლქი | 2,0 | 3,0 | 4,0 | 1,0 | 2,0 | 3,0 |
| II. უკრაინის სსრ | 3,0 | 4,5 | 5,0 | 5,0 | 6,0 | 7,0 |
| III. ბელორუსიის სსრ | 3,0 | 4,0 | 5,0 | 2,0 | 4,0 | 6,0 |
| IV. აზერბაიჯანის სსრ | 4,0 | 6,0 | 7,0 | — | 0,5 | 0,5 |
| V. საქართველოს სსრ | 11,0 | 15,0 | 15,0 | 1,0 | 1,5 | 2,0 |
| VI. სომხეთის სსრ | 7,0 | 10,0 | 14,0 | 0,5 | 1,0 | 1,0 |
| VII. თურქმენეთის სსრ | 25,0 | 30,0 | 40,0 | — | — | — |
| VIII. უზბეკეთის სსრ | 12,0 | 18,0 | 22,0 | — | — | — |
| IX. ტაჯიკეთის სსრ | 12,0 | 12,0 | 16,0 | — | — | — |
| X. ყაზახეთის სსრ | 0,8 | 1,5 | 2,0 | 0,2 | 0,2 | 0,2 |
| XI. ყირგიზეთის სსრ | 9,0 | 15,0 | 18,0 | 0,3 | 0,3 | 0,3 |
| XII. კარელია-ფინეთის სსრ | 0,5 | 1,0 | 1,5 | 1,5 | 2,0 | 3,0 |

ნება დაერთოთ ყაზახეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის სს რესპუბლიკების, ბაშკირეთის, თათრეთის, დაღისტნის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ყირიმის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს ადგილობრივი პირობების მიხედვით ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებს შეუცვალონ ღორის ტყავის ჩაბარება ცხვრისა და თხის ტყავით.

4. ტყავის ნედლეულის ჩაბარების გამოანგარიშება კოლმეურნე კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობათათვის მოხდეს:

ა) ღორის ტყავით, რომლის წონაც უნდა უდრიდეს სულ მცირე 4 კილოგრამს (ახლადგახდილი სახით);

ბ) ყველა ჯიშის ცხვრისა და თხის ტყავით, რომლის ზომაც უნდა უდრიდეს სულ მცირე 35 კვადრატულ დეციმეტრს.

5. დაწესდეს 1940 და 1941 წლისათვის რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი საშუალო წლიური ნორმები თვითეული კოლმეურნე კომლისა და ერთპიროვნული მეურნეობისათვის:

| ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები | კოლმეურნე კომლები: ცხვრისა და თხის ტყავები | კოლმეურნე კომლები: ღორის ტყავები | ერთპიროვნული მეურნეობანი: ცხვრისა და თხის ტყავები | ერთპიროვნული მეურნეობანი: ღორის ტყავები |
|---|---|---|---|---|
| **I.** არხანგელსკის ოლქი, მურმანსკის ოლქი, კარელია-ფინეთის სსრ, ლენინგრადის ოლქი, ვოლოგდის ოლქი, კალინინის ოლქი, იაროსლავლის ოლქი, გორკის ოლქი, ივანოვოს ოლქი, სმოლენსკის ოლქი, მოსკოვის ოლქი, ტულის ოლქი, რიაზანის ოლქი, ორიოლის ოლქი, კურსკის ოლქი, ვორონეჟის ოლქი, ტამბოვის ოლქი, პენზის ოლქი, მორდვეთის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ, მარეთის ასსრ, უდმურტეთის ასსრ, კიროვის ოლქი, მოლოტოვის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, კომის ასსრ, იაკუტიის ასსრ, პრიმორიეს მხარე, ხაბაროვსკის მხარე | 0,5 | 0,5 | 1,0 | 0,5 |
| **II.** ბელორუსიის სსრ, როსტოვის ოლქი, ორჯონიკიძის მხარე (ყარაჩაის და ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქებს გარდა), სტალინგრადის ოლქი, სარატოვის ოლქი, ვოლგისპირა გერმანელთა ასსრ, კუიბიშევის ოლქი, ჩკალოვის ოლქი, ირკუტსკის ოლქი, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ, ჩიტის ოლქი | 0,5 | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| **III.** საქართველოს სსრ, ჩრდილოეთ-ოსეთის ასსრ, ჩელიაბინსკის ოლქი, ომსკის ოლქი, ნოვოსიბირსკის ოლქი, ალტაის მხარე (ოიროტთა ავტონომიურ ოლქს გარდა), კრასნოიარსკის მხარე (ხაკასთა ავტონომიურ ოლქს გარდა) | 1.5 | 1,0 | 2,0 | 1,0 |
| **IV.** უკრაინის სსრ, კრასნოდარის მხარე (ადიღეს ავტონომიურ ოლქს გარდა) | — | 1,0 | — | 1,5 |
| **V.** უზბეკეთის სსრ, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ორჯონიკიძის მხარის ყარაჩაისა და ჩერქეზთა ავტონომიური ოლქები, თათრეთის ასსრ, კრასნოიარსკის მხარის ხაკასთა ავტონომიური ოლქი, ალტაის მხარის ოიროტთა ავტონომიური ოლქი | 1,0 | — | 1,5 | — |
| **VI.** ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ბაშკირეთის ასსრ, ყალმუხეთის ასსრ, დაღისტნის ასსრ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ყირიმის ასსრ | 2,0 | — | 3,0 | — |

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

# ტყავის ნედლეულის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

6. სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რომლებიც დაწესებულია რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის, როგორც წესი, შეუფარდდეს შესაბამისი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების ყველა რაიონს. ნება დაერთოს დამზადებათა სახალხო კომისარიატს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების შუამდგომლობით, გამონაკლისის წესით, ცალკეული რაიონებისათვის გაადიდონ ან შეამცირონ ნორმები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში აუცილებლად იქნას დაცული ამ დადგენილებით დაწესებული წლიური საშუალო-ოლქობრივი ნორმა ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარებისა.

7. დამზადებათა სახალხო კომისარიატის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების (რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) რწმუნებულთა დასტურით ცალკეულ კოლმეურნეობათათვის დაშვებულ იქნას სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმის გადიდება ან შემცირება 30%-ის ფარგლებში, მხოლოდ იმ პირობით, რომ რაიონში აუცილებლად იქნას დაცული რაიონისათვის საშუალოდ დაწესებული ტყავის ნედლეულის ჩაბარების ნორმა.

8. დაწესდეს, რომ ყოველმა კოლმეურნე კომლმა და ერთპიროვნულმა მეურნეობამ სავალდებულო წესით მიჰყიდოს დამამზადებელ ორგანიზაციებს არაგადამდები სენის გამო დახოცილი და დაკლული მსხვილფეხა რქიანი საქონლის ყველა ტყავი.

9. დაწესდეს, რომ მუშები და მოსამსახურენი, სარეწაო და თევზმჭერი არტელებისა და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების წევრები ვალდებული არიან მიჰყიდონ სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებს არაგადამდები სენის გამო დახოცილი და დაკლული მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის ტყავის მთელი ნედლეული.

10. დაწესდეს, რომ ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან ის მეურნეობანი, რომლებიც „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების მე-27 პუნქტის შესაბამისად თავისუფალნი არიან სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისაგან.

თუ ამ მეურნეობებს საქონელი ჰყავთ, ისინი ვალდებული არიან დაკლული ცხოველების ტყავი დამამზადებელ ორგანიზაციებს მიჰყიდონ დაწესებულ შესასყიდ ფასებში.

11. ერთპიროვნული მეურნენი, რომელნიც ვალდებულებათა ჩაბარების მომენტისათვის სეზონურ ან მუდმივ სამუშაოზე ერთ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში მუშაობენ, სავალდებულო წესით აბარებენ სახელმწიფოს ტყავის ნედლეულს ერთპიროვნულ მეურნეობათათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

12. შინამრეწველნი, რომელნიც სოფელ ადგილებში და სააგარაკო დაბებში ცხოვრობენ და რომელთაც საკარმიდამო ან საყანე მიწის ნაკვეთი აქვთ, სავალდებულო წესით აბარებენ სახელმწიფოს ტყავის ნედლეულს მოცემული რაიონის ერთპიროვნულ მეურნეობათათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

13. კოლმეურნეობების, კოლმეურნე კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულების დროს დაშვებულ იქნას ერთი სახის ნედლეულის სხვა სახის ნედლეულით შემდეგი შეცვლა:

ა) მსხვილფეხა რქიანი საქონლის ერთი ტყავი, რომელიც 25-ზე მეტ კილოგრამს იწონის, ჩაითვლება 1,5 დიდ ტყავად ან 3 საშუალო ტყავად, რომლებიც მიღებულია ჩაბარების ერთეულად;

ბ) მსხვილფეხა რქიანი საქონლის ერთი ტყავი, რომელიც 17-დან 25-მდე კილოგრამს იწონის (დიდი ტყავი), ჩაითვლება 1,5 საშუალო ტყავად, რომელიც მიღებულია ჩაბარების ერთეულად;

გ) ორი მსხვილფეხა რქიანი საქონლის ტყავი, წონით 6-დან 10 კილოგრამამდე, ერთ საშუალო ტყავად ჩაითვლება;

დ) ცხენის, აქლემის და ვირის ტყავი, აგრეთვე ჯორის ტყავი მსხვილფეხა რქიანი საქონლის ტყავის ნედლეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში ჩაითვლება მათი წონის შესაბამისად;

ე) სამი ღორის ტყავი, ანდა ოთხი ცხვრის ტყავი, ან ოთხი თხის ტყავი 1940 და 1941 წლებში ერთ საშუალო ტყავად ჩაითვლება;

ვ) ორი ღორის ტყავი, წონით 4 კილოგრამზე ნაკლები, 1940 და 1941 წლებში ჩაითვლება ერთ ღორის ტყავად, რომლის წონა 4 კილოგრამს აღემატება;

ზ) ერთი ღორის ტყავი, წონით 4 კილოგრამზე მეტი, ერთი ცხვრის ან თხის დაწესებული ზომის ტყავად ჩაითვლება;

თ) კრაველის ტყავი, რასაც კოლმეურნეობანი და კოლმეურნეები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით აბარებენ დამზადებათა სახალხო კომისარიატის „ზაგოტჟივსირიოს“, სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარებაში შემდეგი ანგარიშით ჩაითვლება: ერთი კრაველის ტყავი ერთ ცხვრის ტყავად;

ი) ერთი ირმის ტყავი მურმანსკის ოლქსა, იაკუტიის ასს რესპუბლიკასა და შორეული ჩრდილოეთის რაიონებში ჩაითვლება ორი ღორის ტყავად ან ორ ცხვრის ტყავად.

14. აიკრძალოს კოლმეურნეობათა მიერ ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულების დროს დიდი ტყავების შეცვლა საშუალო და პატარა ტყავებით.

კოლმეურნეობათა მიერ ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულების დროს, როგორც წესი, არ დაიშვება ღორის ტყავის შეცვლა სხვა სახის ტყავის ნედლეულით. ღორის ტყავის უქონლობის შემთხვევაში შეცვლა დაიშვება დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონული რწმუნებულის ნებართვით.

ხბოს ტყავი, წონით 6 კილოგრამზე ნაკლები, კოლმეურნეობებისაგან არ მიიღება ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში.

ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში მიიღება მხოლოდ მთელი ტყავები.

15. სახელმწიფოსათვის ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებაში ჩაითვლება მატყლიანი და ნახევრადმატყლიანი ტყავები. ცხვრის ტყავი „გოლიაკი“ ვალდებულებათა შესრულებაში არ ჩაითვლება. სწორედ ასევე სახელმწიფოსათვის ცხვრისა და თხის ტყავის სავალდებულო ჩაბარების შესრულებაში არ ჩაითვლება ნახევარწლამდე ასაკის ბატკნისა და თიკნის ტყავები (35 კვადრატულ დეციმეტრზე ნაკლები ზომისა).

16. სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში ჩაითვლება:

ა) მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ღორის, ცხვრისა და თხის ტყავი იმ საქონლის სულადობის რიცხვის მიხედვით, რომელიც ცოცხალი წონით არის ჩაბარებული ხორცის სავალდებულო ჩაბარების ან სახელმწიფო შესყიდვის წესით; ამასთან მსხვილფეხა რქიანი საქონლის ტყავის კატეგორიის გამორკვევა (მძიმე, დიდი, საშუალო, პატარა) უნდა მოხდეს ცოცხალი წონის 7% ანგარიშით, ხოლო ღორის ტყავისა — 6,5% ანგარიშით;

ბ) დაკლული საქონლის და არაგადამდები სენისაგან დახოცილი პირუტყვის ტყავი.

ტყავი მიიღება სხვადასხვა კონსერვირებისა, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

17. სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში მიიღება I და II ხარისხის ტყავი. დაბალი ხარისხის ტყავის ნედლეული ჩაბარების დროს ვალდებულებათა შესრულებაში ჩაითვლება III ხარისხის ტყავის ჩაბარების ნორმის 25% დაკლებით და IV ხარისხის ტყავის ჩაბარების ნორმის 35% დაკლებით.

18. დაწესდეს, რომ სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულებისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შემდეგ კოლმეურნეობებს უფლება აქვთ დარჩენილი ტყავი გამოიყენონ თავიანთი შეხედულებისამებრ.

19. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს, რომლებმაც შეასრულეს ტყავის ნედლეულისა და ხორცის სავალდებულო ჩაბარება და უზრუნველჰყვეს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება, გადაამუშაონ სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის (წონით 6 კილოგრამზე მეტი), ღორისა და ცხვრის ტყავი. კოლმეურნეობებს უფლება აქვთ გადასამუშავებლად გადასცენ ტყავის მხოლოდ ისეთი ნედლეული, რომელიც მიღებულია განსაზოგადოებული მეცხოველეობისაგან.

20. კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს, სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ და სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების შესრულების დროს, უფლება აქვთ გამოიყენონ ღორისა და ცხვრის დარჩენილი ტყავი თავიანთი შეხედულებისამებრ, და შეუძლიათ გადაამუშაონ სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებში ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირობებით.

უფლება მიეცეთ კოლმეურნე კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს ტყავის ნედლეულის გადასამუშავებლად ჩააბარონ ცხვრის, თხისა და ღორის ტყავი.

21. დაწესდეს, რომ ტყავის ნედლეულის გადამუშავებისათვის ჩამბარებელი ფულით უნაზღაურებს მიღებული საქონლის ღირებულებას მტკიცე სახელმწიფო ფასების მიხედვით, რასაც უნდა გამოაკლდეს ჩაბარებული ტყავის ნედლეულის ღირებულება სახელმწიფო შესასყიდი ფასების მიხედვით, აგრეთვე უნაზღაურებს ნატურით შემდეგი ანგარიშის კვალობაზე:

ა) რქიანი საქონლისა და ღორის ტყავის გადამუშავებისათვის კოლმეურნეობა უნაზღაურებს ნატურით მზა პროდუქციის გამოსავლის 35%;

ბ) ორი ცხვრის ტყავის გადამუშავებისათვის ჩამბარებელი იღებს ცხვრის ერთ გამოქნილ ტყავს.

22. ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულების შემდეგ და სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესრულებისას ჩამბარებლები იღებენ ტყავეულობის საქონელს მტკიცე სახელმწიფო ფასებში შემდეგი ანგარიშის კვალობაზე:

ა) კოლმეურნეობები სახელმწიფოსათვის მიყიდული საქონლის (მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ღორის) ტყავში ნატურით მზა პროდუქციის გამოსავლის 75% რაოდენობით და ერთ მზა, გამოქნილ ცხვრის ტყავს სახელმწიფოსათვის მიყიდული ცხვრის ორ ტყავში;

ბ) კოლმეურნეები სახელმწიფოსათვის მიყიდული ღორის ტყავში ნატურით მზა პროდუქციის გამოსავლის 70% რაოდენობით და ცხვრის ერთ მზა, გამოქნილ ტყავს სახელმწიფოსათვის მიყიდული ცხვრის ორ ტყავში.

23. სახელმწიფოსათვის მსხვილფეხა რქიანი საქონლის მიყიდვისას კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები მტკიცე სახელმწიფო ფასებში მიყიდული საქონლის ტყავში იღებენ ტყავეულ საქონელს ნატურით მზა პროდუქციის გამოსავლის 15% რაოდენობით.

24. კოლმეურნეობებს, კოლმეურნე კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს ნება ეძლევათ ავანსად ჩააბარონ სახელმწიფოს ტყავის ნედლეული მომავალი წლის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში.

25. ნება დაერთოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულებს ჩაუთვალონ კოლმეურნეობებს, კოლმეურნე კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს 1940 წლის ვალდებულებათა შესრულებაში ტყავეულობის ნედლეული, რომელიც მათ 1940 წლის დამდეგიდან ამ დადგენილების გამოცემამდე ჩააბარეს ტყავეულობის ნედლეულის დამამზადებლებს („სოიუზზაგოტკოჟი“, სამომხმარებლო კოოპერაცია, სარეწაო კოოპერაცია და ინვალიდთა კოოპერაცია), აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ღორისა და ცხვრის ტყავი, რაც კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა მეურნეობებმა 1940 წლის 1 იანვრიდან ცოცხლად ჩააბარეს დამამზადებელ ორგანიზაციებს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის ხაზით.

ტყავის ნედლეულის ჩაბარების ხაზით ვალდებულებათა შესრულებაში ჩათვლა წარმოებულ იქნას იმ წესის შესაბამისად, რაც ამ დადგენილებით შემოღებულია კოლმეურნეობათა და სხვა მეურნეობათათვის, რომელნიც სავალდებულო წესით აბარებენ ტყავის ნედლეულს, ჩამბარებლების მიერ დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის შესაფერი დოკუმენტების წარდგენისას ტყავის ნედლეულის ან ცოცხალი საქონლის მიღების შესახებ. სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში ტყავის ნედლეულის ჩათვლის ვადად დაწესდეს 2 თვე, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა.

26. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის „ზაგოტჟივსირიოს“ და „ცენტროსოიუზს“ მოაწყონ ტყავის ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვა. სახელმწიფო შესყიდვა წარმოებულ იქნას შემდეგი პირობებით:

ა) კოლმეურნეობებს, კოლმეურნე კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს მათ მიერ სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის მიყიდვისას, ტყავის ნედლეულისა, რისი ჩაბარებაც მათ სავალდებულო წესით ევალებათ, ტყავეული საქონელი უნდა მიეყიდოს იმავე პირობებით, რაც დაწესებულია გადასამუშავებლად ჩაბარებისას, სახელდობრ ნატურით მზა პროდუქციის გამოსავლის 65% რაოდენობით;

ბ) კოლმეურნეობებს, კოლმეურნე კომლებს, ერთპიროვნულ მეურნეობებსა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებს, რომელნიც სახელმწიფოს მიჰყიდიან ტყავს, რის ჩაბარებაც მათ არ ევალებათ ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების წესით, ტყავეული საქონელი მიეყიდოს საქონლის დაკვლისას სასაკლაო მოედნებზე ან დამამზადებელ ორგანიზაციათა საქონლის დამკვლელთა მიერ მზა პროდუქციის გამოსავლის 10% რაოდენობით, ხოლო ოჯახში დაკლული საქონლის ტყავის შესყიდვისას ტყავეული საქონელი მიეყიდოს: ღორის ტყავში 10% და მსხვილფეხა რქიანი და სხვა საქონლის ტყავში — 5% მზა პროდუქციის გამოსავლისა;

გ) ცხვრის ტყავის შესყიდვისას მიეყიდოს ერთი მზა, გამოქნილი ცხვრის ტყავი ორ გამოუქნელ ცხვრის ტყავში.

ტყავის იმ ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც სავალდებულო წესით უნდა იქნას ჩაბარებული ან რომლის შეცვლაც დაშვებულია, შეიძლება წარმოებულ იქნას მხოლოდ იმ მეურნეობებისაგან, რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარება.

27. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობანი, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობანი, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები და სამხედრო ნაწილები მოვალენი არიან ჩააბარონ დამზადებათა სახალხო კომისარიატის „ზაგოტჟივსირიოს“ მთელი ტყავი, მიღებული მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ცხენის, აქლემის, ცხვრის, თხისა და ღორის დაკვლისა და არაგადამდები სენისაგან დახოცვის შედეგად.

ტყავის ნედლეული ჩაბარებულ უნდა იქნას გატყავების მომენტიდან სულ დიდი 10 დღის განმავლობაში.

28. დაწესდეს, რომ თვითეულ კოლმეურნეობას მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმებში, ძროხის სულადობის მინიმუმთან ერთად, უნდა ჰყავდეს, გარდა მუშა ხარებისა, სულ ცოტა 2 წლის ასაკის დაკოდილი მოზვრების (რომელთა მოშენება სწარმოებს სახორცედ და მძიმე ტყავების მისაღებად) მინიმუმი, კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის კვალობაზე (ნახნავი, მათ შორის ბაღები და ბოსტნები; მდელოები და საძოვრები):

ა) ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, ბაშკირეთის ასსრ, ყირიმის ასსრ (სამხრეთ სანაპიროს რაიონების გამოკლებით), ჩრდილო-ოსეთის ასსრ, კომის ასსრ, ვოლგისპირა გერმანელთა ასსრ, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ, ყალმუხეთის ასსრ, იაკუტიის ასსრ, ალტაის, კრასნოიარსკის, ორჯონიკიძისა და კრასნოდარის მხარეების, ირკუტსკის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, აღმოსავლეთ-კაზახეთის, ჯამბულის, სემიპალატინსკის, გურიევსკის, დასავლეთ-კაზახეთის, აკმოლინსკის, ჩრდილო-კაზახეთის, ალმა-ატის, აქტიუბინსკის, ყარაგანდის, კუსტანაის, პავლოდარის, კუიბიშევის, არხანგელსკის, ვოლოგდის, ჩკალოვის, სარატოვის, სტალინგრადის, როსტოვის, მოლოტოვის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკისა და ჩიტის ოლქების კოლმეურნეობებს, რომელთაც 200-მდე ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ, უნდა ჰყავდეთ სულ ცოტა 2 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 200-ზე მეტი—მაგრამ არაუმეტეს 500 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—უნდა ჰყავდეთ სულ ცოტა 4 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 500-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—უნდა ჰყავდეთ სულ ცოტა 10 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 1000 ჰექტარი, მაგრამ არაუმეტეს 2000 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 15 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 2000-ზე მეტი ჰექტარი, მაგრამ არაუმეტეს 3000 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 20 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 3000-ზე მეტი ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ — სულ ცოტა 25 დაკოდილი მოზვერი;

ბ) ყირგიზეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ (სუბტროპიკული კულტურების რაიონების გამოკლებით), საქართველოს სსრ (დასავლეთ საქართველოს რაიონების გამოკლებით), სომხეთის სსრ, კარელია-ფინეთის სსრ, პრიმორიესა და ხაბაროვსკის მხარეების, ვორონეჟის, გორკის, ივანოვოს, კალინინის, მოსკოვის, ლენინგრადის, კურსკის, სამხრეთ-კაზახეთის, ორიოლის, პენზის, რიაზანის, ტამბოვის, ტულის, სმოლენსკისა და იაროსლავლის ოლქების კოლმეურნეობებს, რომელთაც 150-მდე ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ, უნდა ჰყავდეთ სულ ცოტა 2 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 150-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 400 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 3 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 400-ზე მეტი ჰექტარი, მაგრამ არაუმეტეს 800 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 8 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 800-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 1500 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 15 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 1500-ზე მეტი ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 20 დაკოდილი მოზვერი;

გ) დანარჩენი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობებს, რომელთაც 120-მდე ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 1 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 120-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 200 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 2 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 200-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 500 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 3 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 500-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 ჰექტარი მიწის ფართობი აქვთ—სულ ცოტა 5 დაკოდილი მოზვერი; რომელთაც 1000-ზე მეტი ჰექტარი აქვთ—სულ ცოტა 9 დაკოდილი მოზვერი.

რადგანაც საჭიროა დიდი ქალაქების უზრუნველყოფა მოუხდელი რძით, დაკოდილი მოზვრების გამოზრდის მინიმუმი არ იქნას დაწესებული ქალ. მოსკოვის 100-კილომეტრიან ზონაში, ქალ. ლენინგრადის 75-კილომეტრიან ზონაში, ქალ. კიევისა და ხარკოვის 50-კილომეტრიან ზონაში, ქალ. სტალინოს, დნეპროპეტროვსკის, ოდესის, ბაქოს, დონის როსტოვის, გორკის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, მინსკის, ხაბაროვსკისა და ვლადივოსტოკის 25-კილომეტრიან ზონაში.

29. ფერმებისათვის ამ დადგენილებით დაწესებული მინიმუმი დაკოდილი მოზვრების სულადობისა კოლმეურნეობების მიერ მიღწეულ უნდა იქნას არაუგვიანეს 1942 წლისა, 1941 წლის დამლევამდე კი ფერმებში სულადობა უნდა შეადგენდეს დაწესებული მინიმუმის სულ ცოტა 50 პროცენტს. ამისათვის კოლმეურნეობებმა ფერმებში გამოჰყონ, ხოლო იმ კოლმეურნეობებმა, რომელთაც საჭირო რაოდენობა არ მოეპოვებათ, შეისყიდონ 1939 და 1940 წლების ნამატიდან მოზვრები იმ რაოდენობით, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს დაკოდილი მოზვრების 1941 და 1942 წლებისათვის დაწესებული სულადობის მინიმუმს.

30. გადიდებულ იქნას სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში დაკოდილი მოზვრების სულადობა (2 წლის ასაკამდე დასაზრდელად) 1942 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 170 ათას სულამდე, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში — 25 ათას სულამდე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში — 5 ათას სულამდე, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის საბჭოთა მეურნეობებში — 5 ათას სულამდე.

31. აეკრძალოს ყველა საბჭოთა მეურნეობას მსხვილფეხა რქიანი საქონლის ერთნახევარი წლის ასაკისაზე ნაკლები ხნის მოზარდეულის დაკვლა, გარდა მერძეობის იმ საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც 50-კილომეტრიან საგარეუბნო ზონაში იმყოფებიან.

32. აიკრძალოს დაკვლამდე ორი თვით ადრე ცხვრის პარსვა.

33. დაშვებულ იქნას კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა მეურნეობებში საქურქე ცხვრის მოშენება წმინდამატყლოვანი მეცხვარეობის ზონებში, ამასთანავე მტკიცედ იქნას დაცული წმინდამატყლოვანი ცხვრისა და ხეშეშმატყლოვანი ცხვრის ფარის ცალცალკე მოშენება და მოვლა-შენახვა.

34. განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარებისაგან მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობანი, რომელთაც მარტო თხები ჰყავთ.

განთავისუფლებულ იქნან მეწველი თხების სულადობის მიხედვით სახელმწიფოსათვის თხის მატყლის ჩაბარებისაგან კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა კომლები.

35. დამზადებათა სახალხო კომისარიატის „ზაგოტჟივსირიომ“ და „ცენტროსოიუზმა“ სასაკლაო პუნქტების რაოდენობა 1942 წლის დამლევისათვის გაადიდონ 25 ათასამდე.

დამზადებათა სახალხო კომისარიატის „ზაგოტჟივსირიომ“ და „ცენტროსოიუზმა“ სასაკლაო პუნქტებს დაშორებულ სოფელ ადგილებში საქონელი კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა ეზოებში აკვლევინონ საქონლის სპეციალურ დამკვლელებს.

36. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს დაკვლისწინა პერიოდში საქონლის მოვლა-შენახვის საინსპექტორო - სავეტერინარო კონტროლი ხორცკომბინატებში, სასაკლაოებსა და საქონლის ბაზებში.

37. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ, რათა 1940 წლიდან მოკიდებული ყველა მეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი საქონელი სავალდებულო წესით სისტემატურად იწმინდებოდეს ტყავის ბუზანკლისაგან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. სტალინი

1940 წ. 20 აპრილი.

# საომარი მოქმედება ნორვეგიაში

## ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 22 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ტრონჰეიმის რაიონში მზადდება დიდი ბრძოლა. ნორვეგიის ჯარი თავმოყრილია სტეინკიერში, სადაც მათ კონტაქტი დაამყარეს ინგლის-საფრანგეთის ძალებთან. ნორვეგიაში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის საექსპედიციო ჯარის რაოდენობა შეადგენს სამ დივიზიას ანუ 50 ათას კაცს.

გერმანიის საპარაშუტო ნაწილებმა რამდენჯერმე სცადეს ხელთ ეგდოთ ოსლო-ტრონჰეიმის რკინიგზის საკვანძო პუნქტი — სადგური დონბოსი, რომელსაც ნორვეგიელები იცავენ. ნორვეგიის კომუნიკე ამტკიცებს, რომ ამ რაიონში დაშვებული 50 გერმანელი პარაშუტისტი ტყვედ არის წაყვანილი.

**ლონდონი,** 22 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტომ გუშინ გამოაქვეყნა ინგლისის ავიაციის სამინისტროს შემდეგი კომუნიკე: „გუშინ ღამით და დღეს დილით ინგლისის ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მტრის სატრანსპორტო თვითმფრინავებსა და აეროდრომებზე. ოლბორგის (ჩრდილო დანია) გერმანიის ავიაბაზაზე წარმატებული თავდასხმის გარდა, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა გერმანიის აეროდრომებს ქრისტიანზანდესა და სტავანგერში. ინგლისის ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში“.

**ლონდონი,** 22 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ნამსოსის რაიონში შემჩნეულ იქნა გერმანიის ავიაციის მნიშვნელოვანი მოქმედება. გერმანიის თვითმფრინავებმა დიდძალი ყუმბარა ჩამოჰყარეს. ბომბარდირების შედეგად ქალაქი დიდად დაზიანდა. ბომბარდირების დროს ჩაძირულია ინგლისის ტრაულერი.

ამავე დროს იუწყებიან, რომ სტოკჰოლმის სამხრეთით ჩაძირულია გერმანიის სავაჭრო გემი „იურდენ ფრიტცენი“ 4.465 ტონა წყალწყვისა. გემის ეკიპაჟი, რომელიც 30 კაცისაგან შესდგებოდა, გადარჩენილია.

**ლონდონი,** 22 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა, რომ გუშინ საღამოს ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარა სტავანგერის აეროდრომს. აეროდრომზე არსებული რამდენიმე თვითმფრინავი მოსპობილია.

ინგლისის ყველა ყუმბარმშენი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში.

## გერმანიის ცნობები

**ბერლინი,** 22 აპრილი (საკდესი). როგორც საინფორმაციო ბიურო იუწყება, ნორვეგიაში მოქმედი გერმანიის ჯარის დავლა დღითი-დღე მატულობს. ნავსადგურებში მოხდენილმა ჩხრეკამ [illegible] მასალა მოგვცა. [illegible] 20 აპრილს ბერგენის საწყობებში აღმოჩენილი იქნა 380 ათასი წყვილი ჩექმა, რომელიც [illegible] უნდა გაგზავნილიყო.

**ბერლინი,** 22 აპრილი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „გუშინ მტრის სამხედრო-საზღვაო ძალები კვლავ ყუმბარებს უშენდნენ ნარვიკს. ტრონჰეიმის რაიონში გუშინ ჩვენ მნიშვნელოვანი პუნქტები დავიკავეთ. სტავანგერის საშუალებით დამყარებულია კავშირი ოსლოსა და ქრისტიანზანდის იმ რაიონებს შორის, რომლებიც გერმანიის ჯარს უკავია. ოსლოდან ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოქმედმა გერმანიის ჯარმა ბრძოლა გაუმართა ნორვეგიის ჯარის ნაწილებს და უკუაქცია ისინი. ამასთან ჩვენ დავიკავეთ გიევიკი და ლილეჰამერი. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

გერმანიის ავიაგამანადგურებელთა უმნიშვნელო შენაერთებმა წარმატებით უკუაგდეს ინგლისელთა ყოველგვარი ცდა გადმოესხათ დესანტი ნამსოსისა და ონდალსნესის მიდამოებში. ამ შენაერთებმა დაანგრიეს მტრის მიერ დაკავებული ვაგზლები. ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი და ორი სავაჭრო გემი დაზიანდა და ჩაიძირა. ჰამარის რაიონში ჩვენმა ავიაციამ გაანადგურა რკინიგზის ხაზები, რომლებიც მტრის ხელში იყო. გერმანელებმა ხელთ იგდეს ოსლოს გარნიზონის არსენალი, სადაც საჭურველის დიდძალი მარაგი ინახება. სკაგერაკსა და კატეგატში მოსპობილია მტრის ორი წყალქვეშა ნავი. ინგლისის თვითმფრინავები ოლბორგში თავს დაესხნენ აეროდრომს, რომლისთვისაც არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ. ჩამოგდებულია ინგლისის 3 თვითმფრინავი. ამას გარდა, ღამით ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა გერმანიის სანაპიროზე“.

**ბერლინი,** 22 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ცველფურბლატი“ იუწყება, რომ ნორვეგიის ნაპირებთან ბრძოლების დაწყებიდან 12 დღის განმავლობაში ინგლისმა დაჰკარგა: 4 სახაზო გემი, 2 სახაზო კრეისერი, ერთი ავიამზიდი, 4 მძიმე კრეისერი, 10 მსუბუქი კრეისერი, 12 საესკადრო ნაღმოსანი, 13 წყალქვეშა ნავი, 29 თვითმფრინავი და 15 სატრანსპორტო გემი. ზემოჩამოთვლილი ყველა 90 საბრძოლო ერთეულიდან 60 ერთეული მთლიანად მოსპობილია, დანარჩენები მძიმედ და მსუბუქად დაზიანდნენ.

# კინკლაობა ვან ძინ-ვეის ბანაკში

**ჩუნცინი,** 22 აპრილი (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ ვან ძინვეის ბანაკში გრძელდება კინკლაობა. აღმასრულებელი იუანის (პალატის) გენერალური მდივანი ჩენ გუნ-ბო და ფინანსთა მინისტრი (იგივე პოლიციის მინისტრი) ჯოუ ფო-ხაიმი იბრძვიან მეორე ადგილისათვის ვან ძინ-ვეის შემდეგ.

პირველობისათვის იბრძვიან აგრეთვე პროპაგანდის მინისტრი ლინ ბაი-შენი და საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი ტინ მო-ჯუნი. უკანასკნელი ცდილობს განაახლოს თავისი გაზეთის გამოშვება. ლინ ბაი-შენი, რომელსაც ეშინია, ჩემს გაზეთს კონკურენცია არ გაუწიოსო, მკვეთრად ილაშქრებს ტინ მო-ჯუნის გაზეთის გამოცემის წინააღმდეგ.

უკმაყოფილო რჩება აგრეთვე ნანკინის მარიონეტული „მთავრობის“ ყოფილი მეთაური ლიან ხუნ-ჩი, რომელიც „ცენტრალური მთავრობის“ შექმნის შემდეგ დანიშნულია საკონტროლო პალატის პრეზიდენტად.

გამოსთქვა რა თავისი უკმაყოფილება, იგი დემონსტრატიულად არ გამოცხადდა ვან ძინ-ვეის პოლიტიკური საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე. ამავე დროს იგი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ვან ძინ-ვეი ცდილობს შექმნას თავისი ცენტრალური ბანკი და გააუქმოს ხუასინ-ბანკი, რომლის შემოსავლითაც ლიან ხუნ-ჩი სარგებლობს.

სააგენტო აღნიშნავს, აგრეთვე რომ ვან ძინ-ვეის მგზავრობა ჩინეთის ჩრდილო ნაწილში, რათა ჩრდილოეთის მარიონეტებს დაახლოებოდა, უშედეგო აღმოჩნდა. ჩრდილოეთის მარიონეტები იაპონელი გენერლების ზეგავლენით ცდილობენ შეინარჩუნონ ვან ძინ-ვეისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა.

# საგაზაფხულო კულტურების თესვა

საქმიწსახკომის ცნობებით, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 20 აპრილისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო სულ 216.890 ჰექტარზე, გეგმის 42,3 პროცენტი. გასული წლის ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო 227.626 ჰექტარზე, გეგმის 49,4 პროცენტი.

თავთავიანი მარცვლეული კულტურები საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილია 58.797 ჰექტარზე, გეგმის 55,4 პროცენტი; სიმინდი—111.073 ჰექტარზე, გეგმის 41,9 პროცენტი; კარტოფილი—5.811 ჰექტარზე, 38,7 პროცენტი; საკვები ძირნაყოფა და სასილოსე კულტურები — 976 ჰექტ., გეგმის 9,8 პროცენტი. მრავალწლიანი ბალახის თესვის გეგმა შესრულებულია 35,3 პროც., ხოლო ერთწლიანისა—28,9 პროც.

თავთავიანი მარცვლეულის თესვაში ჩამორჩნენ ბორჯომის რაიონი, გეგმა შესრულებული აქვს 36,3 პროცენტით; ბაშკიჩეთის რაიონი (44,6 პროც.), ადიგენის რაიონი (67,4 პროცენტით), ახალციხის რაიონი (83,5 პროც.). კარტოფილის თესვაში ჩამორჩნენ ბორჯომისა და გორის რაიონები.

სიმინდის თესვა დაგვიანებით დაიწყეს და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მახარაძისა (გეგმა შესრულებულია 4,9 პროცენტით) და ლანჩხუთის რაიონებში (შესრულებულია გეგმის 8 პროცენტი).

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესვა მთელ რიგ რაიონებში (ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, თიანეთის და სხვ.).

შაქრის ჭარხლის თესვა საქართველომ ვადაზე—20 აპრილისათვის შეასრულა. ამ რიცხვისათვის დათესილი იყო 5.501 ჰექტარი, გეგმის 100 პროცენტი.

დაიწყო თამბაქოს გადარგვა. 20 აპრილისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თამბაქო დარგული იყო 264 ჰექტარზე, გეგმის 1,3 პროცენტი. 1939 წელს ამავე რიცხვისათვის თამბაქო დარგული იყო 62 ჰექტარზე.

# მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია

**ყვარელი,** 23 აპრილი (ტელეგრაფით). რაიონმა ვადაზე სამი დღით ადრე—100,5 პროცენტით შეასრულა მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი

**ვაჩაძე**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

**ჯაშიაშვილი.**

# ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ა. ფ. ზელენოვსკი დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

O

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ლ. ი. ბელახოვი დანიშნა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობისაგან. (საკდესი).

# საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

25 აპრილს, საღამოს 7 საათზე, პარტრაიკომის შენობაში (საბჭოთა ქ. № 132) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის მე-2 მორიგი პლენუმი.

**დღის წესრიგშია:**

სტახანოველებთან მუშაობა და მრავალდაზგოსანთა მოძრაობა (სტრიკოტაჟო კომბინატისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორთა მოხსენებები).

რაიკომის მდივანი **მ. ჩუბინიძე**

O

25 აპრილს, საღამოს 8 საათზე, გაზეთ „კომუნისტის“ კომბინატის კლუბში (ლენინის ქ. № 28) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მე-8 პლენუმი.

**დღის წესრიგშია:**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივნის ამხ. ე. ფოფხაძის მოხსენება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ.

რაიკომის მდივანი **პ. მჭედლიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**


მიხაკო, კატუშა, თამარ ბაიდაშვილები, კოლია, სოფიკო ფოფხაძეები, თინა, სონა ზიქიაშვილები, ანიჩკა, მიხაკო ლაზიაშვილები, თამარ, ნიკო ნიბლაძეები იუწყებიან სიძის
**კოლა ელიზბარის-ძე ხუციშვილის**
გარდაცვალებას. 6097

მეუღლე ალექსანდრა, შვილები ვახტანგ, ირაკლი, ლევან, შალვა ცოლშვილით, ძმა ნოდარ წინამძღვრიშვილები იუწყებიან
**გიორგი გაბრიელის-ძე წინამძღვრიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. წინამძღვრიანთკარში. 6098

მ. წითლაური, ნ. ფილაშვილი, თ. ბარბაქაძე, მ. კოვზირიძე, ნ. დურმიშიძე, თ. ლუტიძე, ნ. კაპანაძე, მკერვალიშვილი, ნ. ოთარიშვილი, ნ. მაღნარაძე, მ. ლაღიძე, ვოჩხიძე, ვ. ქლიბაძე, ლ. ჩუბინიძე იუწყებიან
**ალექსანდრე ჩაფიძის**
გარდაცვალებას. 6062

ეკატერინე, არჩილ, ვერა, ლეილა ქეშაშვილები, კოტე, თექთუმანიძე ცოლშვილით, ვანო ბერბერაშვილი ცოლშვილით იუწყებიან
**ვანო ილიას-ძე ვეშაპიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IV 5 ს. ფარკოთილის, 15. 6082

დედა ნატაშა, მამიდები თეოლინე, კატო და თამარ კასაბაშვილისა შვილებით გოგი და გულიკოთი იუწყებიან
**სერგო (ბუხუ) ბარქაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/IV 5 ს. პლეხანოვის შესახვ., 3. გადასვენება რკ.-გზ. სადგურზე 6 ს. დაკრძალვა 27/IV წულუკიძეში. 6103

პროპედევტიკული ქირ. კლინიკის მთელი კოლექტივი იუწყება ბავშვთა ქირ. კლინიკის უფროსი ასისტენტის
**სერგო (ბუხუ) ბარქაიას**
გარდაცვალებას. 100

არ. კოკილაშვილი, გ. გიორგაძე, ა. კელენჯერიძე, ბ. აბულაძე, ვ. მთვრალაშვილი, მ. საკარული, ლ. ჯავახაძე, მ. თევზაძე, დ. რთველიაშვილი, თ. კუნჭულია, შ. გვინჩიძე, ი. იოსელიანი, თ. ფურცელაძე, შ. აროშიძე, პ. ჰიოკაძე, შ. ცარციძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. კირილე აქბარდიას მისი მამის
**ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე აქბარდიას**
გარდაცვალების გამო.

სტამბა „კომუნისტის“ მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. კირილე აქბარდიას მისი მამის
**ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე აქბარდიას**
გარდაცვალების გამო.

პროფ. კოკოჩაშვილი, ექიმები გენძეხაძე, მგალობლიშვილი, კუტუბიძე, ვერულაშვილი, ბიბილაშვილი, ჩხეიძე, ახობაძე, ნაროზაშვილი, ლაღიძე, ასიტაშვილი იუწყებიან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის
**ბუხუ ბარქაიას**
გარდაცვალებას. 6087

მშობლები დოჩნა, დათიკო, ძმა ვახტანგ, და თათუშა, ბებია პელაგო ქუთათელაძეები იუწყებიან
**თენგიზ (შოშიკო) დავითის-ძე ქუთათელაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IV 5 ს. ჩელიუსკინელების, 13, კუკიის სასაფლაოზე. 6077

რძალი ბაბალე, შვილიშვილი ვასილ ცოლით ბაბულიათი, შვილიშვილები ტასიკო, ალექსანდრე, ლიზიკო, ლამარა, გივი ზურაშვილები იუწყებიან
**ნიკოლოზ ისაკის-ძე ზედელაშვილის**
გარდაცვალებას. 6095

შვილი თამარ მენშიკოვა, შვილიშვილები მარო და სერიოჟა იუწყებიან
**ნიკოლოზ ისაკის-ძე ზედელაშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IV 5 ს. ცხრაძმის, 7. 6096


ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—161